


№ 1

1940. 27/11
მწიგნობრობის
გამოცემის

7559

მზიანი საქართვე

რედაქტორი გ. ღათიაშვილი.



ტფილისი
სტამბა ამხ. „შრომა“, პლესანოვის პროსპექტი, № 67.
1920



უიწაარსი:

- ბ. ტაბიკ — „ქალის ქანდაკება“.
- ბ. ქუხიშვილი — „სიყვარული“
- ბ. დავითაშვილი — „საით მივიღოთ?“
- მ.წ. — „ლექია“
- ჯ. გ. — ნია — „სინამდვილე სიზმარში“

ქალის ქანდაკება.

მე დავივიწყებ ყველა სიკვდილს: პირველს, მეორეს...
უკანასკნელი არ მოსულა ეროსის შხამი,
გზა მიყვებოდა მიმოფანტვას უმეტეორესს,
რომ თან წაეღო საუკუნის მრავალი წამი.

მხატვრის უგონო წყურვილივით დამრჩა სურვილი:
გაუკვდავების გაწამებულ დღეთა გაგება!
ოცნებას მხოლოდ სიყვარულით შემობურვილი
დარჩა ბინდიან მოგონებად ეს ქანდაკება.

ბეჩაფ! მოგიკლას გულმა გული, ბაგე დაგებას
და შემდეგ ასე დაივიწყო თვისივე ფრთები?
დამშვიდებული თვალით ვუცქერ თეთრ ქანდაკებას...
„რა ლამაზია“! — ვიმეორებ და არ ვფიქრობ.

მე მის წინ მიყვარს ზამბახების ფენად დაგება,
მიმოქრის თქროს ამურების ურჩი კრებულო.
ჩემთვის მარადი დუმილია აქ ქანდაკება —
ისევე თეთრი, წარსულიდან მოტაცებული!

ს ი უ ა ლ ბ ე .

გულ-მკერდიანი მომწონდა ქალი,
მაგრამ აღმოჩნდა უგულ-უმკერდო;
მე მის უბეში მოვჭკარი თვალი:
ძუძუთა ნაცვლად ბამბები ედო.

ვსთქვი: ვინ დაგწყველა შენ, ჩემო თავო,
ნუ თუ ეს არის, რასაც ეძებდი;
ნუ თუ ეს არის ის საესავო,
ნუ თუ ყვავილებს ამისთვის ჰკრეფდი.

და ერთხელ კიდევ შევხედე ცერად:
უცხო ქალის თმა გრია თმაში;
გადვიქეც კითხვად, გადვიქეც მხერად, —
ზიზღი დაბუდდა ჩემს არსებაში.

ბ. ქეჩიკაძე.

15 ნომბერი
1920 წ.



მწყემსების სადილობა თავიანთ ბინაზე.

საით მივიღებთ?!

I

ყველას სძინავს. თმა-ხუჭუჭა გოგიას თავი გამოუყვია საბნებიდან და იღიმება: მის თვალწინ, თითქო ხონჩაზე მოერთმით, კობტა სოფელია გამოხატული ისე ცოცხლათ, რომ, აი, ბერუანთ სახლის გვერდით მის შწვანე აივნისან სახლსაც ნათლად ხედავს. წინ არხი ჩაუდის და შიგ დიდ გემს, ვით დედას შვილები, პატარა გემები მისდევენ. ერთბაშად შედგა გოგია. ყაყაჩოებიანი მინდორი გამოჩნდა. აქ ტანადი კაკლის ხე დგას და, მის წვერზე ქერქის კოშკებში გადმომსხდარ კაკლებს, გულნატკენად შეჰყურებს. გოგიამ ჯობი მოიძარჯვა-გადმოხტენ კაკლები. ერთი მათგანი ყაყაჩოს დაეცა და იქვე უსულოდ გააგორა. მიცვალებულმა ყვავილმა მიიპყრო გოგიას ყურადღება და გადაწითლებულ მინდორს გადახედა. მახლობლად პეპელები დღეობას იხდიდენ. ერთი მათგანი განცალკევებით იჯდა მედიდურ ყაყაჩოზე და ორ წითელ დროშას აფრიალებდა. გოგია ფრჩხილებზე შედგა, დედოფლისაკენ გაპარულ ხელს ორი თითი გამოეთიშა. დიდის ამბით მოჰყავს მშვენიერი ტყვე გოგიას. ნაჭარბმა სიხარულმა, ისე გამოაფხიზლა გოგია, რომ მიუხედავათ სიცივისა, საბნები გადაეხადა და, პერანგ-ამარა წამომოჯდარი, თვეებს ითვლიდა: თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი. თებერვალი, მარტი, მაისი... თებერვალი, მაისი...

II

გორაზე გაშენებული ქალაქი ამომავალ მზის სხივებში ბანაობდა. ქედმაღალ საყდართა გუმბათებს, თითქო ქვეყანას პირ-ჯვარს სწერდენ, ოქროს ჯვრები აეშართათ. განაპირას დინჯათ იდგა სამსართულიანი წითელი სასწავლებელი. გაშლილ მინდორზე ახალგაზრდა მხედარს ლურჯა ცხენი დაეყენებია და

წითელ შენობას აკვირდებოდა: „კუთხეში მერვე, მეშვიდე, შემდეგ მეექვსე კლასია“-ო, გულში ამბობდა მგზავრი და უკანასკნელიდან მაღალ კლასებში გადადიოდა. მერვე კლასში დაჯდა გოგია. გამოცდები ისე მოახლოვდა, რომ სტუდენტის ქული მოვიდა და სადაცაა გოგიას თავზე ჩამოეხურება. აი, მოიკაზმა სტუდენტი. სურნელებით დაისველა თმა, და ისე კოხტად გაჰყო ორად, ეშხზე მოსული ჰაეროვან კოცნას თავზე იდებდა. გოგიამ სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი ამოიჩია და, თუმცა ჯერ სწავლა არ დაეწყო, თავი დაუმძინდა, დარბაისლობა და სიღინჯე აღებეჭდა სახეზე. სადაც არ წავიდა, ყველგან ღია იყო კარები, სთხოვდენ: „მობრძანდით ბ. გიორგი“-ო! მაღლა აქრილმა ოცნებამ სინამდვილე გამოადვიდა. გოგია მეექვსე კლასში უნდა დამჯდარიყო.

— მეექვსე, მეშვიდე, მერვე... როგორ გაგრძელდა ოხერი. უკროსი განყოფილება, უფროსი, პირველი კლასი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, ჩამოთვალა გოგიამ და განვლილ დრომ გონებაში ისე სწრაფად გაურბინა, რომ გასასვლელი დროც შეამოკლა. „მეექვსე აღარ ჩაითვლება, მეშვიდე და მერვე. მაისის დამლევს მეშვიდეში ვიქნები... მაისი და მერვე“...

III

„ბატონო, გიორგი!

გუშინ საღამოთი სხდომა გვექონდა იმის შესახებ, თუ ჩრდილოეთში ვინ გაგვეგზავნა, ერთხმად შენ ავირჩიეს. გეწამს იმედებს გაგვიმართლებ. ჩვენ აქ, შენ იქ აღმართე მახვილი. ყველანი, როგორც ერთი, შენთანვართ“.

გოგიამ მოწოდება სიამოვნებით გადაიკითხა. ბინდმოსილი მომავალი განათლდა. შორეულ ქვეყანას გზა საჩქაროდ შეუერთდა. აღიძრა მისწრაფების ეინით დამთვრალი სული. თითქო მთაზე შემდგარიყო, გაცისკროვნებულ სახით გაჰყურებდა სავალ გზას. გადაშლილ შუბლზე მხოლოდ ერთი ნაოჭი მოსჩანდა და ისიც, ვიღაცას მოლოდინში ნელ-ნელა იხსნებოდა. უკვე კარებში იდგა ტურფა ყვავილივით ტან-აყრილი ისული,

რომლის დანახვაზე მწუხარება წარიხოცა შუბლიდან და გიორგი საყვარელთან ერთად ღია ფანჯრის ზღუდებზე ჩამოსხდენ. — მხოლოდ რჩეულნი დაყნოსავენ სულიერ ობლობის დროს ბედნიერების ყვაილს“ო, შეჩურჩულებდა ქალწულს გიორგა და ხელს და ნებართვას შეთხოვდა, რათა სულიერ საუნჯეთი საღაროში რამოდენიმე წრფელი კოცნა შეეტანა. მორჩილებით ხელზე გადმოწოლილი ასული ფარულ მწუხარებით ყვედრიდა: „მტოვებ გოგი?!“ გოგიას სულში ზარები გუგუნებდა ღ პასუხის ნაცვლად გულში იკრავდა.

— ჩემო ლამაზო! დამქრა შენმა უენო საყვედურმა, მაგრამ ამართულ დროშის დახრა მიმძიმს. დამილოცე გზა, დამილოცე წმიდა დროშა, რომ უგვირგვინო გვირგვინით დაგიბრუნდე. ჩვენ მხოლოდ კუნძული გვაშორებს, რომლის ორივე ნაპირზე სიყვარულის სანთელი ანთია. გაივლიან წელნი და ერთ ღრუბლიან დღეს უცბათ განათლდება, მიიღებ წერილს: მოვდივარ, შენი გოგი. ამ წითელ დროშებს, რომელიც შენ დამილოცე, ვფიცავარ სიყვარულს, ამაყად ვატარებ. ბარემ აღვმართოთ წითელი დროშა. მელიოდებიან.

IV

სამგზავრო გემის ბაქანზე სუფრაა გაშლილი. შორეულ ქვეყნიდან მომავალ გემს, ვარსკვლოვან ცის ქვეშ საიდუმლო სიმღერით მკურავს, დამსხვრეული ტალღები შეჩოჩქოლებულ მარგალიტებად გარშემო ადგება უდროვოთ თმა შევერცხლილი გიორგი სუფრის თავში ზის. მას მეგობრები აცილებენ, რომლებთან ერთად იბრძოდა უცხო ქვეყანაში. მათ შორის გემის უფროსიცაა.

მეგობრებო! აღტაცებით მიმართა გიორგიმ. გაივლიან წელნი და ერთ ღრუბლიან დღეს უცბათ განათლდება, ასე დავიწყებ ჩემს სიტყვას. ის კუნძული, სადაც თქვენთან ერთად ქარიშხალი გვემუქრებოდა სულიერ სამკაულის შემოცლას, ის კუნძული, სადაც სიცოცხლე და სიკვდილი ამართული მახვილით ერთმანეთს შეცქეროდენ, ის კუნძული, რომლის მოპირ-

დაპირე ნაპირებზე სიყვარულის ორი სანთელი იწვოდა, — მალე განვლილი იქნება და, აქამომდე განცალკევებულნი, ერთმანეთს შეანათებენ... თქვენ დამშორდებით, ეწვევით ნაცნობ ბრძოლის ველს, და ჩემგან მოკითხვას გადასცემთ. ოკეანე, რომელიც ზეციდან ჩამოფრენილ შავ არწივათ მეჩვენება. გადაუშლია ფრთები და ტორტმანებს, — მრწამს არ აღელდება. არწივს უყვარს არწივები და სჯერა, რომ მისებრ გიგური ჟინით აიყრებიან იერიშის მისატანად... მაშ გაგიმარჯოსთ თქვენ, თქვენს მშვიდობით დაბრუნებას და იმ ორ სანთელს, რომელთაგან ერთი თქვენის, მეორე თამადას ეშხით გიყდება... გემის უფროსო, ალავერდი თქვენთან ვარ, დღეს თქვენი ძლიერი ფრთები მიგვაქროლებს და მსურს ტვირთი შეგიმსუბუქოთ ამ ფხიანი სასმისით... ბ. უფროსო, მოგვხედეთ!

— ბოდიშს ვიხდი, თამადავ თქვენი უცნაური არწივი ფრთებს ისწორებს, უნდა გაგეცალოთ, სთქვა გემის უფროსმა და მღელვარე ოკეანემ მგზავრთა ყურადღებაც მიიპყრო. ქარიშხლის ნიშნები მოსჩანდა. გემის ფოლად გვერდზე ატლასად გაშლილი ტალღები იხეოდა. ცაზე ღრუბელნი ისეთის სიჩქარით გარბოდნენ, თითქო წარღვნას გაუბიანო. ზვირთებით ატაცებულ გემზე იდგა გიორგი და მასთან ერთად ეშურებოდა.

V

ჩამავალი მზის სხივები მოფენოდა ღია ფანჯარას. ქალარა გიორგის შვილი ამოდგომოდა, ოცი წლის ქაბუკი, და შეწითლებულ ცის თაღით ერთობოდნენ. იმედს და სასოწარკვეთილებას მოეცვა მათი თვალები.

— მამა, ეკითხებოდა ვახტანგი, ნუ თუ შენც ისე გატკობს ჩამავალი მზე, ისე გხიბლავს და გიტაცებს, როგოც მე? შემოპარულმა სიბნელემ სიყვარულის მისტერიური ზეწარი ჩამოშალა. ვაკვირდები და შეუცნობელ წარწერების ამოცნობას ვცდილობ, თავდავიწყებით დავდივარ ფანტასტიურ ქვეყანაში და რწმენაა მზეს ისევ ვიხილავ, ერთი წუთით არ მტოვებს. მზეო, მზეო! არ გაცივდება შენგან გამთბარი გული. შენ სატრფოს

ჰგახარ, მოგვხიბლავ და დაგვემალეები. ეგ ხერხია: ვსურს მუ-
დამ შენკენ ვილტვოდეთ. და ჩვენც შენი ნატეხები, შენი
ცეცხლით ანთებულნი, მოვქრივართ და, ჩვენს შორის გაბმულ
საუკუნეთა ჯაჭვს, ვწვაფთ დაგიახლოვდებით... მამა!... უეცრად
მიმართა ვახტანგმა, მაგრამ გიორგის სახეზე სიცოცხლის ნიშან-
წყალი აღარ ეტყობოდა.

— წამიყვანე... წამიყვანე, შეილო... გადაფითრებული მო-
ხუცი საუკუნო განსასვენებლად ემზადებოდა. უკანასკნელი
სიტყვა იყო:

„საით მივილტვით?!“

ბ. დათაძე.



ღიაა ქარი

გადაცენია ბნელ კედლებს ჰერი,

შემორევია წვიმა, ნამქერი

და მძაფრი ქარი.

საბრალო ხატი!

ის აღარა სჩანს, ოპ, აღარა სჩანს!

გაყინულ კერას უელის განი-განს,

საფენი სნატი.

ჩამქრალო ცეცხლი.

რა მოგაგონებს აქ წარსულ შაისს?

მაგრამ შენ აქაც ახერხებ შაინც

პირჯვრის დაწერას.

ახერხებ ზრდილი

სული წაართვა თვითვეულ საგანს

ქარიშხლიანი წარსულისაგან

გადარჩენილი.

ღიმილი როცა

სწუხს—იგი შაინც არ შეიძულო.

სულო, ილოცე,

სიცოცხლისათვის ილოცე, სულო!

.N.N.

ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე - ს ი ზ მ ა რ შ ი .

(Debie a la facqies en signe d'anite)

გაზაფხულია – ეამი ბუნების სიქალწულის.

თეთრად ამართული სასახლე სკურავს ყვაფილთა და მცენარეთა ტალღებში. მისი სამოსი შემკობილია ფოთლოვან ჩუქურთმებით...

სასახლის შესავალს სდარაჯობს გაათარცებული ორი ღოზის ქანდაკება.

ირგვლივ რკალავს ხავერდის ფონზე ახალიჩებული ყვაფილით აღსავსე ბაღია, რომლის შუა-გულში შადრევანი გედის პირით აფრქვევს წყალს ცვარ ნამათ ანისლებულს.

ტროპიკული მცენარეებით აღსავსე ხეივნები, იღუმალი გრძნობის მომართვით რას არ განგაცდევინებენ. ალაგ-ალაგ შეხვდებით მოჩირჩხლულ ყვაფილებისაგან ასურათებულ სახეებს წარწერებით.

აგერ თალარი, რომელსაც ნეტარებით მოუსხამს ყვაფილების ქათიბი. ზოგი ყვაფილი კი, რომელიც გაბედნიერდენ სასახლის ერთ თანჯარასთან აფურჩქენით, ეშხით ათრთოლებულნი, ყელ-გაღერებით შეკისკისებენ დედოფლის სავანეს, რომ თავისი ნაზი სურნელის მოფრქვევით მოსტაცონ ყურადღება მეუფეებს.

აისის ეამია.

ლურჯ ცაზე მთვარე, ვერცხლის სხივის მთოვარე, მკრთალდება, მისი სხივით ქსოვილი იბანდება და თან-და-თან შეუჩერებლად ეფარება ცისფერი რიდე.

აისის გამარჯვებას ზეიმობენ სირინოზი, იადონი, შოშია, ბუღბუღი, შაშვი და სხვა მგალობელნი, რომელთა საზეიმო ჰიმნები, სანეტარო გრძნობებით აღსავსე, ჰფენენ არე-მარეს

სიკოცხლისადმი ქაბუკურ მისწრაფების სურვილს. მგალობელთა მგოსნური გრძნობით აღსავსე სიმღერები უტკბობენ მძინარე დედოფალს დილის ფშვიადს.

მაგრამ დახეთ, მოწვეტილი სიო მოსრიალდა ბაღჩას და მოჰპარა მას მთვარის შუქისებური კოცნა, ბაღჩა ამღელვარდა და თავის მღელვარება შესთავაზა სასახლეში ცელქურად მძინარე დედოფალს. მისი ბაგენი ამეტყველდენ; აელერდა სახის მომხიბლავი ჩანგი დედოფლის.

დედოფალი ამ ჟამს სიზმრეთის სამყაროში ჰაეროვნად დანავარდობდა; მის ირგვლივ დასრიალებდა ასულთა გუნდი და დედოფლის სურვილს კითხულობდა მის სახის გამომეტყველებაში, მის ჯადოსნურ რხევაში. უცებ სახის ამოცანამ ამცნო არე-მარეს, რომ დედოფალს მოესურვა საზეიმოდ მორთვა.

ასულთა გუნდი ერთ — მეორეზე ალაგებენ ქვებით მოჩუქურთმებულ ოქროს სკივრიდან ძვირფას მოსართავს და ქარგავენ დედოფლის ირგვლივ. სიოსებური, ცელქურად კისკისობენ, აღერსობენ, რომ მოჰფინონ დედოფალს შვება-ლხენა. ბოლოს ერთი გამოკდილი ასული დედოფლის მორთვაში მიუახლოვდა მას და დაუწყო ხელოვნებით გამშვენიერება.

თეთრი, ვით ფიფქი, პირსაბურისებური სამოსის მაგივრად, საიდანაც მოციმციმებდა მარმარილოს ქანდაკება, — თეთრი სხეული დედოფლის, შეამკეს ცისფერი სამოსით.

მოუტანეს მოკედლილი ქოში, ძვირფას ქვებით მოკირწყლოული ნარნარ ფენის გასაყოფათ.

წელზე შემოარტყეს ინდოეთის ნახელოვნები სარტყელი, ფოჩვები შემკული იყო სირენას თვალის მსგავსი ქვებით: წითელი ბადახშით, წითელი, ლურჯი, ყვითელი და თეთრი იაგუნდებით. ამ ქვების ირგვლივ მინანქრით ამოკვეთილი იყო სურათოვანი ყვავილები, ხვლიკები და სხვა და სხვა არსნი. სარტყელს წინ ამშვენებდა ხოეორი მარგალიტი, რომლის გარშემო აკიაგებული იყო მრავალი ფეროვანი ქვები.

ხელებში გაუყარეს იაღდუზის ოქროს სამაჯურები: მარცხენა ხელის სამაჯურზე გამოქანდაკებული იყო ზურმუხტით,

ბრილიანტით იაგუნდებით აღმასით, მარგალიტით, სიმშვენეირით აღსავსე ქალი, რომლის წინაშე ყველა არსნი პირმეტყველი და პირფტყენი ნეტარებით ქედ მოხრილნი იყვნენ, ნიშნად სიმშვენეირის მეუფებისა ქვეყანასა ზედა. მარჯვენა ხელის სამაჯურზე იშვიათი ქვებით ამოკვეთილი იყო აღონისის მსგავსი მშვენეირი ვაჯი, ჰეროსის შიერ დაისრული, რომელიც ეძიებს სულიერ განკურნებას სიმშვენეირებისადმი თაყვანის ცემაში, ნიშნად ჰეროსის აუცილებლობისა სილამაზის თაყვანსა ცემლად. სათაყვანოთ კისერზე ჩამოკიდეს გულქანდი, რის მსგავსი არ ენახა ჯერ კიდევ. პარიზის ბაღს. ეს იყო გულქანდი აღმოსავლეთის ნახელოვნები, მისი შვიდ ფეროვანი ძვირფასი ქვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მომზიბულელ სხივთა ციმციმში. ყურების ბილბილში ჩამოკიდეს სხვა და სხვა ქვებიდან ჩამოსხმული ფარშავანგი — საყურეები. კიპრი და ფლორამ რა დაინახა დედოფალი აგრე რიგად საზეიმოდ გამზადებული მოფრინდა და დაადგა თავზე მისი ბაღის ყვავილებისაგან მოქსოვილი გვირგვინი. ყვავილთ თასები ჯერ კიდევ აღსავსე იყო ვაალმისებულ კიურ-ნამით და ზებრძანა მდებლოს: იქვე ყვავილთ ბაღად. თვალის გახამხამებაში ირგვლივ გამოეფინა მრავალფეროვანი ყვავილთ ზღვა.

ყვავილები ეშხით დამთვრალნი იშმუშნებოდნენ, იკეცებოდნენ და ჰაეროვანი კოცნით კლავდნენ დედოფლისადმი სიყვარულს. უდარდელი თავ-განწირულებით ელოდნენ ისინი მთელი თავისი სიცოცხლით აღსავსე ნაზი არსების დედოფლის ფეხების ცხელ-მწველ ამბორს და... სულის განტევებას. ასეთი ძლიერი იყო სილამაზე-სიმშვენეირის განკურნება.

დადიოდა ზეინარი და ის ირგვლივ ისროდა თვალის მომკრეღ მრავალფეროვან სხივთა კონას.

მაგრამ დედოფალს მაინც რაღაცა აკლდა... და ის ასე იმისათვის ხელოვნებდა, რომ გამოეწვია თავისი აღონისივით მშვენეირი საყვარელი ვაჯი. და ის იყო ასწია ხელი ცელქურად გაშლილი დიდ წითელ ვარდის მოსაწყვეტათ, რომ მის თასებში ჩაექსოვა სიყვარულის იდუმალეობა, როდესაც მიაჩერ-

და სამაჯურს, მშვენიერი ვაჟი რომ იყო ასურათებული, მიიჩერდა და.... ზე აპყრობილი ხელი ჰაერში გაქანდაკდა. მშვენიერმა ვაჟმა დაიწყო ხევა, გრძნობის სხივთა ფრქვევა, რაც იწვევდა დედოფალში ზღვა ნეტარებას და აღემართა მის წინაშე სიმშვენიერით აღსავსე.... ელვასაებრ სისწრაფით გადაეკდენ ერთმეორეს და მათი ზღვა სიყვარული ნეტარებათ აქაფდა.... მაგრამ ცეცხლის ღმერთს შეშურდა დედოფლის და მშვენიერი ვაჟის ნეტარება და ვაჟს, რომელიც სულიერი ნირვანაში ლალად დაცურავდა დედოფალთან, წაუვიდა უღმობელი ვაჟი. ხალას ოქროს ფერ ალით შეიმოსა და იწოდა, იწოდა უღარდელად, რადგან ფიქრობდა, რომ ის მსხვერპლი იყო სიყვარულის ალის....

საამბოროდ გასროლილი ხელები ჰაერში იყვნენ ჩამოკიდებული. დედოფალი უცებ მოწყდა ნეტარების ნირვანას და რა დაინახა საყვარელი ვაჟი, მწველი ალით შემოსილი, შეპკივლა შემადრწუნებელი ხმით: ღმერთო, შვების ღმერთო, რა შეგცოდე, რომ დამწვი და..... და გამოელვიდა...

დარაბებით შემოხეთქილი იყო მზის ზვირთების მრავალი ფეროვანი ენები და ქურდულად კოცნიდენ დედოფლის მშვენიერ სახეს.

არ. 6 — სია.

